



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

იოანე იტალოსი

იოანე იტალოსი (Iōannēs Italos), XI საუკუნის ბიზანტიელი ფილოსოფოსი და ღვთისმეტყველი. იგი ითვლება ქრისტიანული აზროვნების ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან წარმომადგენლად ბიზანტიაში. ი. ი. კარგად იცნობდა პლატონისა და არისტოტელეს ნააზრევს და ამტკიცებდა, რომ ამ ორ დიდ ბერძენ მოაზროვნეს შორის არავითარი არსებითი წინააღმდეგობა არ არსებობს. ამით იგი თავისი მასწავლებლის, მიქაელ ფსელოსის ფილოსოფიურ გზას აგრძელებდა, რ-იც ფილოსოფიური ღვთისმეტყველების მნიშვნელოვანი პრობლემებისა და საკითხების ანალიზის დროს პლატონს, არისტოტელესა და „უბადლო პროკლეს“ ეყრდნობოდა. სწორედ ფსელოსისა და ი. ი-ის სახელთანაა დაკავშირებული XI ს. ბიზანტიაში ე. წ. „პროკლეს რენესანსის“ წარმოშობა, რ-მაც შემდეგ პროკლეს აზროვნების მძაფრი კრიტიკაც კი განაპირობა ნიკოლოზ მეთონელის (XII ს.) მხრიდან.

შუა საუკუნეების ქართული აზროვნებისთვის არა მარტო მიქაელ ფსელოსის პიროვნება და შემოქმედება აღმოჩნდა ღრმა ინტერესის საგანი, არამედ ი. ი-ისაც. ცნობილია მისი წერილი აფხაზი გრამატიკოსისადმი, რ-იც 1082 წლით თარიღდება. ეს წერილი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იოანე პეტრიწისადმი მიძღვნილი ქართ. კვლევების კონტექსტში, რადგან გამოითქვა ვარაუდი, რომ წერილის ადრესატი სწორედ იგი უნდა ყოფილიყო. ეს მოსაზრება დღემდე ერთ-ერთ სამუშაო ჰიპოთეზას წარმოადგენს და მისი დამაჯერებელი დასაბუთება თუ უარყოფა სამომავლო კვლევადიების საქმეა. მიუხედავად წერილის ადრესატისა, უწინარეს ყოვლისა, საყურადღებოა თავად ამ წერილის შინაარსი, რ-იც ფილოს. გრამატიკის მნიშვნელოვან საკითხებს განიხილავს. გარდა ამისა, ეს წერილი ბიზანტ.-ქართ. კულტურული ურთიერთობების მნიშვნელოვანი დოკუმენტიცაა, რადგან ის ი. ი-ისა და მისი ქართვ. მეგობრის ინტელექტუალური სიახლოვის დასტურია. იტალოსი მაღლიერებით მოიხსენიებს მეგობარს იმის გამოც, რომ მან ჭეშმარიტების სიყვარული

შეინარჩუნა და ბოლომდე მისი მოძღვრების ერთგული დარჩა. სწორედ ამით გამოირჩევა იგი მრავალი გზასაცდენილი ორატორისა და სოფისტისაგან.

ი. ი-ის ცხოვრებასა და შემოქმედებას საგანგებოდ განიხილავდნენ ქართველ მეცნიერები. XX ს. 20-იან წლებში გ. წერეთელმა თბილისში გამოსცა ი. ი-ის ლოგიკური ტრაქტატები ორიგინალის ენაზე. 1966 კი გამოვიდა ნ. კეჭალაძის გამოცემა, რ-მაც მოგვიანებით, 1970, საგანგებო მონოგრაფია მიუძღვნა ი. ი-ის ცხოვრებასა და შემოქმედებას. გარდა ამისა, სხვა ქართველ მკვლევრებსაც (გ. თევზაძე, მ. მჭედლიძე) აქვთ საინტერესო სამეცნ. გამოკვლევები იტალოსის მრავალფეროვანი შემოქმედების შესახებ. საქართველოში კარგად იყვნენ ცნობილი ი. ი-ის მოწაფეებიც, მ. შ. ბრწყინვალე დიალექტიკოსი, პლატონის შესანიშნავი მცოდნე და არისტოტელეს ნაშრომების განთქმული კომენტატორი ევსტრატე ნიკეელი (XI-XII სს.), რ-ის ერთ-ერთი პოლემიკური ნაშრომის ქართ. თარგმანი არსენ იყალთოელის „დოღმატიკონშია“ განთავსებული.

თხზ.: თხზულებანი. ბერძნული ტექსტი ვარიანტებითა და შენიშვნებით ქვეყნდება გ. წერეთლის მასალების მიხედვით, ნ. კეჭალაძის რედ. და წინასიტყვ., თბ., 1966; ფილოსოფიური განმარტებანი, წინასიტყვ. და თარგმ. მ. მჭედლიძისა, წგ.: ბიზანტიური მწერლობის ქრესტომათია (X-XII საუკუნეები), ტ. 3, თბ., 1996.

ლიტ.: კ ე ჭ ა ლ მ ა ძ ე ნ., იოანე იტალოსის შემოქმედება, თბ., 1970; მ ჭ ე დ ლ ი ძ ე მ., ბიზანტიელი ფილოსოფოსები - მიქაელ ფსელოსი და იოანე იტალოსი ქართულ მწერლობასა და მეცნიერებაში, კრ.: ბიზანტინოლოგია საქართველოში, თბ., 2007.

თ. ირემაძე
